

ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N8 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე,  
მოქალაქე ნუგზარ ჭეიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა  
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ირაკლი აბაშიძის გამზირი N8 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნუგზარ ჭეიშვილის განცხადება /2013 წლის 26.06 Nჭ-6796/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N8 საცხოვრებელი სახლი N40 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N8 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნუგზარ ჭეიშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N8 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე /საერთო ფართობი 59,78 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 34,95 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,83 კვ.მ./ მოქალაქე ნუგზარ ჭეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე